საიდ. N 79139/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 130-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, ს. ებრალიძე, გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „ფარფლ ინკ.,“ (Purple Inc.,) N130-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 13 აგვისტოს N1452/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „ЗЕБРА“ (საიდ. N79139/03) რეგისტრაცია მე-2 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „საღებავი, ოლიფა, ლაქები; მღებავი ნივთიერებები; ფერსაჭერი; დაუმუშავებელი ბუნებრივი ფისები; სამხატვრო-დეკორატიული დანიშნულებისა და მხატვრული ბეჭდვისათვის განკუთვნილი ფურცლოვანი და ფხვიერი ლითონები; მღებავი ნივთიერებები; შემკვრელი ნივთიერებები საღებავებისთვის; ჭიქურები (დამფარავები); გრუნტები;

ბებკი - გადასაყვანი საღებავები; საღებარები; ალიზარინის საღებარები; ანილინის საღებარები; საღებარები ტყავისათვის; ხის მასალისგან დამზადებული საღებარები; ასლგადამღები მანქანების და აპარატების საღებავები (ტონერები); ალუმინის საღებავები; საღებავები ასბესტის; ბაქტერიციდული საღებავები; ხის საღებავები; კერამიკული ნაკეთობებისთვის განკუთვნილი საღებავები; საღებავები ცხოველების დაშანთვისათვის; წებოვანი საღებავები; ცეცხლგამძლე საღებავები; ტიპოგრაფიული საღებავები; ემალის საღებავები; შავი ლაქი; ასფალტის ლაქი; ბიტუმის ლაქები; მობრინჯაოებისათვის განკუთვნილი ლაქი; კოპალის ლაქი; დამცავი ზეთები ხისათვის; მასტიკები (ბუნებრივი ფისები); პასტა ტოპოგრაფიული (მელანი); პიგმენტები; ვარაყი; საფარები (საღებავები); საფარები (საღებავები) მუყაოს დაგუდრონებისათვის; საფარები (საღებავები) ხისათვის; სატრანსპორტო საშუალებების შასის ჩარჩოების გრუნტის დამცავი საფარები; აკვრაგამძლე საფარები; პოლიტურები; საპრიალებლები; ალუმინის ფხვნილები სამხატვრო-დეკორატიული დანიშნულებისათვის; ფხვნილები მობრინჯაოებისათვის; ფხვნილები მოვერცხლისათვის; ფერსჭერები; ფერსაჭერები ხისათვის; ფერსაჭერები ტყავისთვის; გამხსნელი საღებავებისათვის; გამხსნელი ლაქებისათვის; ხსნარი შეთეთრებისათვის; შემასქელებლები საღებავებისათვის; სიკატივები (დაშრობის დამაჩქარებლები) საღებავებისათვის; შემადგენლობა შიდა მოპირკეთებისათვის; შემადგენლობები ლითონების გამკრთალების თავიდან აცილებისათვის; საშუალებები ხის დასაცავად; ტყვიის სურინჯი; ტერპენტინი (საღებავის გამხსნელი); ფიქსატივები (ლაქები); ფიქსატივები (ფიქსატორები) აკვარელის საღებავებისათვის; საღებარების ექსტრაქტები, ხის მასალისგან დამზადებული; ემალები (ლაქები); ვერცხლის ემულსიები (პიგმენტები)“.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 13 აგვისტოს N1452/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული ნიშანი „ЗЕБРА“ მსგავსია კომპანიის „ვიურთ ინტერნეიშენალ აგ“ (Würth International AG) (მის: ასპერმონტსტრასე CH-7000 კურ, CH; 1, Aspermontstrasse 1, CH-7000 Chur, CH) სახელზე „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის შეთანხმების ოქმით“ საქართველოზე გავრცელებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნისა „ZEBRA“ (საერთაშორისო რეგისტრაციის: N733951, საქართველოზე გავრცელების თარიღი: 2009-06-08) მე-2 კლასის საქონლისთვის. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი შესრულებულია კირილიცაზე, ხოლო რეგისტრირებული - ლათინური ანბანით. სასაქონლო ნიშნებს შორის არის არსებითი მსგავსება ფონეტიკური და სემანტიკური კრიტერიუმით. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანს თან ახლავს გამოსახულება, კერძოდ, ფერად მომიჯნავე ოთხკუთხედებისგან შემდგარი ორი პარარელური ზოლი. მიუხედავად ვიზუალური სხვაობისა, ნიშნებს შორის ფონეტიკური მსგავსება იმდენად დიდია, რომ ჩნდება მათ შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. განცხადებული ნიშანი არ განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლის ან/და მომსახურებისგან. აღნიშნულის გამო, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასაქონლო ნიშანს „ЗЕБРА“ (საიდ. N79139/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-2 კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „ფარფლ ინკ.,“ (Purple Inc.,) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის პოზიციით, ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 13 აგვისტოს N1452/03 ბრძანება და მასზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნა დაუსაბუთებელია. თავად ბრძანება დასაბუთებას საერთოდ არ შეიცავს, ხოლო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია მხოლოდ დაპირისპირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნის „ZEBRA“ მონაცემები. ექსპერტიზის დასკვნაში არ არის წარმოდგენილი ანალიზი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის მსგავსებაზე ან იდენტურობაზე.

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე–2 კლასის მხოლოდ ერთი სახის საქონლისათვის: „კოროზიის სტაბილიზატორები“ (Rust stabilizers). ეს საქონელი წარმოადგენს კოროზიის პროდუქტების (ჟანგის) გარდამქმნელს, რომლებიც გარდაქმნიან ჟანგს მდგრად დამცავ აბსკად უშუალოდ დასამუშავებელ ზედაპირზე. ისინი სამრეწველო დანიშნულებისაა და შეიძლება იყოს სუსპენზიის, ემულსიის ან ხსნარის სახით წარმოებული. იმის გამო, რომ კოროზიის გარდამქმნელები განსხვავებულად ურთიერთქმედებენ კოროზიის პროდუქტებთან (ეს ურთიერთქმედება ქიმიური ხასიათისაა) მათ რამდენიმე ჯგუფად ყოფენ, რომელთაგან ერთ–ერთი არის კოროზიის სტაბილიზატორები, რომელთა ნივთიერებები რკინის ოქსიდის არასტაბილურ ჰიდრატებს გარდაქმნიან მდგრადი ტიპის შენაერთებად, როგორიცაა, მაგალითად მაგნეტიტები.

აპელანტის მითითებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საქონელი აღრევამდე მსგავსად შეიძლება იყოს მიჩნეული მხოლოდ შემდეგი საქონლის მიმართ: „დამცავი საშუალებები, რომლებიც ლითონს კოროზიისაგან და მერქანს დაშლისგან იცავენ; კოროზიის საწინააღმდეგო ზეთები; ანტიკოროზიული პრეპარატები; დამცავი პრეპარატები ლითონებისათვის“. დანარჩენი საქონელი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის არც მსგავსია და არც იდენტური. ისინი ძირითადად

წარმოდგენილია ყოფითი დანიშნულების საღებავებისა და ლაქების სახით. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნით მონიშნული საქონლის მომხმარებელი არ არის ჩვეულებრივი მომხმარებელი – იგი პროფესიონალი და მრეწველობის მოცემული დარგის სპეციალისტია. აღნიშნულის გამო, სასაქონლო ნიშნების აღრევა გამორიცხულია. გარდა აღნიშნულისა, არ არის გათვალისწინებული, ის რომ საქონლის კლასიფიკაცია, ნიცის შეთანხმების მიხედვით, არ არის განკუთვნილი უფლების საგნობრივი ფარგლების განსაზღვრისათვის. ამ გარემოებაზე შეთანხმების ტექსტში სპეციალური მითითება არის გაკეთებული. ამიტომ, დასკვნა უარყოფის შესახებ მთელი ჩამონათვლის მიმართ არ არის მართებული. სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის ინსტრუქცია პირდაპირ ავალდებულებს, რომ ასეთ შემთხვევებში ექსპერტიზამ მიიღოს გადაწყვეტილება საქონლის ნაწილის მიმართ ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე, ხოლო დანარჩენი ნაწილის მიმართ სასაქონლო ნიშნის დარეგისტრირების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 13 აგვისტოს N1452/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „ЗЕБРА“ (საიდ. N79139/03) რეგისტრაციას მე-2 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „საღებავი, ოლიფა, ლაქები; მღებავი ნივთიერებები; ფერსაჭერი; დაუმუშავებელი ბუნებრივი ფისები; სამხატვრო-დეკორატიული დანიშნულებისა და მხატვრული ბეჭდვისათვის განკუთვნილი ფურცლოვანი და ფხვიერი ლითონები; მღებავი ნივთიერებები; შემკვრელი ნივთიერებები საღებავებისთვის; ჭიქურები (დამფარავები); გრუნტები; ბებკი - გადასაყვანი საღებავები; საღებარები; ალიზარინის საღებარები; ანილინის საღებარები; საღებარები ტყავისათვის; ხის მასალისგან დამზადებული საღებარები; ასლგადამღები მანქანების

და აპარატების საღებავები (ტონერები); ალუმინის საღებავები; საღებავები ასბესტის; ბაქტერიციდული საღებავები; ხის საღებავები; კერამიკული ნაკეთობებისთვის განკუთვნილი საღებავები; საღებავები ცხოველების დაშანთვისათვის; წებოვანი საღებავები; ცეცხლგამძლე საღებავები; ტიპოგრაფიული საღებავები; ემალის საღებავები; შავი ლაქი; ასფალტის ლაქი; ბიტუმის ლაქები; მობრინჯაოებისათვის განკუთვნილი ლაქი; კოპალის ლაქი; დამცავი ზეთები ხისათვის; მასტიკები (ბუნებრივი ფისები); პასტა ტოპოგრაფიული (მელანი); პიგმენტები; ვარაყი; საფარები (საღებავები); საფარები (საღებავები) მუყაოს დაგუდრონებისათვის; საფარები (საღებავები) ხისათვის; სატრანსპორტო საშუალებების შასის ჩარჩოების გრუნტის დამცავი საფარები; აკვრაგამძლე საფარები; პოლიტურები; საპრიალებლები; ალუმინის ფხვნილები სამხატვრო-დეკორატიული დანიშნულებისათვის; ფხვნილები მობრინჯაოებისათვის; ფხვნილები მოვერცხლისათვის; ფერსჭერები; ფერსაჭერები ხისათვის; ფერსაჭერები ტყავისთვის; გამხსნელი საღებავებისათვის; გამხსნელი ლაქებისათვის; ხსნარი შეთეთრებისათვის; შემასქელებლები საღებავებისათვის; სიკატივები (დაშრობის დამაჩქარებლები) საღებავებისათვის; შემადგენლობა შიდა მოპირკეთებისათვის; შემადგენლობები ლითონების გამკრთალების თავიდან აცილებისათვის; საშუალებები ხის დასაცავად; ტყვიის სურინჯი; ტერპენტინი (საღებავის გამხსნელი); ფიქსატივები (ლაქები); ფიქსატივები (ფიქსატორები) აკვარელის საღებავებისათვის; საღებარების ექსტრაქტები, ხის მასალისგან დამზადებული; ემალები (ლაქები); ვერცხლის ემულსიები (პიგმენტები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №130-03/15) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო

ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ЗЕБРА“ (საიდ. N79139/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ZEBRA“ (IR 733951) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს, ვინაიდან ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით. განსხვავებულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი. განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-2 კლასის საქონლის შემდეგი შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ: „საღებავი, ოლიფა, ლაქები; მღებავი ნივთიერებები; ფერსაჭერი; დაუმუშავებელი ბუნებრივი ფისები; სამხატვრო-დეკორატიული დანიშნულებისა და მხატვრული ბეჭდვისათვის განკუთვნილი ფურცლოვანი და ფხვიერი ლითონები; მღებავი ნივთიერებები; შემკვრელი ნივთიერებები საღებავებისთვის; ჭიქურები (დამფარავები); გრუნტები; ბეზკი - გადასაყვანი საღებავები; საღებარები; ალიზარინის საღებარები; ანილინის საღებარები; საღებარები ტყავისათვის; ხის მასალისგან დამზადებული საღებარები; ასლგადამღები მანქანების და აპარატების საღებავები (ტონერები); ალუმინის საღებავები; საღებავები ასბესტის; ბაქტერიციდული საღებავები; ხის საღებავები; კერამიკული ნაკეთობებისთვის განკუთვნილი საღებავები; საღებავები ცხოველების დაშანთვისათვის; წებოვანი საღებავები; ცეცხლგამძლე საღებავები; ტიპოგრაფიული საღებავები; ემალის საღებავები; შავი ლაქი; ასფალტის ლაქი; ბიტუმის ლაქები; მობრინჯაოებისათვის განკუთვნილი ლაქი; კოპალის ლაქი; დამცავი ზეთები ხისათვის; მასტიკები (ბუნებრივი ფისები); პასტა ტოპოგრაფიული (მელანი); პიგმენტები; ვარაყი; საფარები (საღებავები); საფარები (საღებავები) მუყაოს დაგუდრონებისათვის; საფარები (საღებავები) ხისათვის; სატრანსპორტო საშუალებების შასის ჩარჩოების გრუნტის დამცავი საფარები;

აკვრაგამძლე საფარები; პოლიტურები; საპრიალებლები; ალუმინის ფხვნილები სამხატვრო-დეკორატიული დანიშნულებისათვის; ფხვნილები მობრინჯაოებისათვის; ფხვნილები მოვერცხლისათვის; ფერსჭერები; ფერსაჭერები ხისათვის; ფერსაჭერები ტყავისთვის; გამხსნელი საღებავებისათვის; გამხსნელი ლაქებისათვის; ხსნარი შეთეთრებისათვის; შემასქელებლები საღებავებისათვის; სიკატივები (დაშრობის დამაჩქარებლები) საღებავებისათვის; შემადგენლობა შიდა მოპირკეთებისათვის; შემადგენლობები ლითონების გამკრთალების თავიდან აცილებისათვის; საშუალებები ხის დასაცავად; ტყვიის სურინჯი; ტერპენტინი (საღებავის გამხსნელი); ფიქსატივები (ლაქები); ფიქსატივები (ფიქსატორები) აკვარელის საღებავებისათვის; საღებარების ექსტრაქტები, ხის მასალისგან დამზადებული; ემალები (ლაქები); ვერცხლის ემულსიები (პიგმენტები)“, ხოლო დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს საქართველოში მინიჭებული აქვს დაცვა მე-2 კლასის შემდეგი საქონლისათვის: „კოროზიის სტაბილიზატორები“. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მე-2 კლასის საქონლის ზემოაღნიშნული სახით შეზღუდვის პირობებში, აღარ იარსებებს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ფარფლ ინკ.,“ (Purple Inc.,) სააპელაციო საჩივარი (საიდ. № 130-03/14) დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 13 აგვისტოს N1452/03 ბრძანება.

3. სასაქონლო ნიშანი „ЗЕБРА“ (საიდ. N79139/03) დარეგისტრირდეს საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „საღებავი, ოლიფა, ლაქები; მღებავი ნივთიერებები; ფერსაჭერი; დაუმუშავებელი ბუნებრივი ფისები; სამხატვრო-დეკორატიული დანიშნულებისა და მხატვრული ბეჭდვისათვის განკუთვნილი ფურცლოვანი და ფხვიერი ლითონები; მღებავი ნივთიერებები; შემკვრელი ნივთიერებები საღებავებისთვის; ჭიქურები (დამფარავები); გრუნტები; ბებკი - გადასაყვანი საღებავები; საღებარები; ალიზარინის საღებარები; ანილინის საღებარები; საღებარები ტყავისათვის; ხის მასალისგან დამზადებული საღებარები; ასლგადამღები მანქანების და აპარატების საღებავები (ტონერები); ალუმინის საღებავები; საღებავები ასბესტის; ბაქტერიციდული საღებავები; ხის საღებავები; კერამიკული ნაკეთობებისთვის განკუთვნილი საღებავები; საღებავები ცხოველების დაშანთვისათვის; წებოვანი საღებავები; ცეცხლგამძლე საღებავები; ტიპოგრაფიული საღებავები; ემალის საღებავები; შავი ლაქი; ასფალტის ლაქი; ბიტუმის ლაქები; მობრინჯაოებისათვის განკუთვნილი ლაქი; კოპალის ლაქი; დამცავი ზეთები ხისათვის; მასტიკები (ბუნებრივი ფისები); პასტა ტოპოგრაფიული (მელანი); პიგმენტები; ვარაყი; საფარები

(საღებავები); საფარები (საღებავები) მუყაოს დაგუდრონებისათვის; საფარები (საღებავები) ხისათვის; სატრანსპორტო საშუალებების შასის ჩარჩოების გრუნტის დამცავი საფარები; აკვრაგამძლე საფარები; პოლიტურები; საპრიალებლები; ალუმინის ფხვნილები სამხატვრო-დეკორატიული დანიშნულებისათვის; ფხვნილები მობრინჯაოებისათვის; ფხვნილები მოვერცხლისათვის; ფერსჭერები; ფერსაჭერები ხისათვის; ფერსაჭერები ტყავისთვის; გამხსნელი საღებავებისათვის; გამხსნელი ლაქებისათვის; ხსნარი შეთეთრებისათვის; შემასქელებლები საღებავებისათვის; სიკატივები (დაშრობის დამაჩქარებლები) საღებავებისათვის; შემადგენლობა შიდა მოპირკეთებისათვის; შემადგენლობები ლითონების გამკრთალების თავიდან აცილებისათვის; საშუალებები ხის დასაცავად; ტყვიის სურინჯი; ტერპენტინი (საღებავის გამხსნელი); ფიქსატივები (ლაქები); ფიქსატივები (ფიქსატორები) აკვარელის საღებავებისათვის; საღებარების ექსტრაქტები, ხის მასალისგან დამზადებული; ემალები (ლაქები); ვერცხლის ემულსიები (პიგმენტები)“.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: თ. ჯაფარიძე

ს. ებრალიძე